N389 2015 წლის 21 სექტემბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

საქმეზე „მარიამ ბათიაშვილი და ირინა ბათიაშვილი-გელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2015 წლის 30 ივნისს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა (ათასი ევრო თითოეული მომჩივნის სასარგებლოდ) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

ირაკლი ღარიბაშვილი